საბაკალავრო პროგრამის დასახელება: კლასიკური ფილოლოგია / Classical Philology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Classical Philology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი რისმაგ გორდეზიანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: ანტიკურობა თანამედროვე ევროპული კულტურის საფუძველია. ძველი ბერძნული და რომაული ლიტერატურა, ხელოვნება, მითოლოგია, ფილოსოფია დღესაც კაცობრიობის სულიერი განვითარების ერთ-ერთ უმძლავრეს სტიმულს, ხოლო ბერძნული და ლათინური ენები საერთაშორისო ტერმინოლოგიის ფორმირების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ანტიკურ სამყაროსთან საქართველოს - კოლხეთსა და იბერიას - უხსოვარი დროიდან მჭიდრო კავშირები ჰქონდა, ქართველური კომპონენტი მნიშვნელოვანია წინაბერძნულსა და წინარომაულ მედიტერანულ კულტურებში.

ანტიკური ცივილიზაციის დაქვეითების შემდგომ ერთი ათასწლეულის განმავლობაში მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე ერთ-ერთ წამყვან როლს ანტიკურობის მემკვიდრე შუა საუკუნეებში, ქრისტიანობის ბურჯი - ბიზანტია ასრულებდა. ბიზანტიაში შეიქმნა ქრისტიანული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები, ბიზანტიურ-ქართული მრავალმხრივი და ინტენსიური ურთიერთობები საქართველოსთვის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი იყო.

თანამედროვე მართლმადიდებლური საბერძნეთი, მემკვიდრე დიადი ანტიკური და შუა საუკუნეების ბერძნულენოვანი კულტურებისა, გამორჩეული თავისი თანამედროვე თვითმყოფადი კულტურით, საქართველოსთან წარმატებით აგრძელებს ათასწლეულების მომცველ ურთიერთობებს.

თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი ამზადებს სპეციალისტებს ამ უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის შესათვისებლად - სამი ძირითადი მიმართულებით.

პროგრამის მიზანი: კლასიკური ფილოლოგია არის მეცნიერება ანტიკური სამყაროს შესახებ. ამ სპეციალობაზე სტუდენტი იღებს კომპლექსურ ცოდნას ძველ ბერძნულსა და რომაულ კულტურაზე (ლიტერატურა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნება, მითოლოგია, ფილოსოფია), ეუფლება კლასიკურ - ძველ ბერძნულ და ლათინურ - ენებს, ორიგინალში კითხულობს ჰომეროსის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, ვერგილიუსის, ჰორაციუსის, ოვიდიუსის და სხვათა ნაწარმოებებს, შეისწავლის კლასიკური ტრადიციების შემოქმედებითი ათვისების საინტერესო ისტორიას მსოფლიოში, იღებს ცოდნას ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ძირითად ეტაპებზე ანტიკურ ეპოქაში.

სწავლების პროცესის გასაღრმავებლად და გასამრავალფეროვნებლად სისტემატურად მოეწყობა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები, ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან დაკავშირებული მხატვრული ფილმებისა და სპექტაკლების ჩვენება და მათი განხილვა, როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევართა საჯარო ლექციები. იმუშავებს ანტიკური დრამის სტუდენტური სტუდია "ოდეონი". სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვებული მოხსენებები გამოქვეყნდება სტუდენტთა სამეცნიერო კრებულ "მნემოსინეში".

მაღალკვალიფიციურ ქართველ პედაგოგებთან ერთად, ლექციებსა და სემინარებს სისტემატურად ჩაატარებენ საბერძნეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, კვიპროსიდან და სხვა ქვეყნებიდან მოწვეული სპეციალისტები. წარჩინებული სტუდენტები კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაიგზავნებიან საბერძნეთის და იტალიის უმაღლეს სასწავლებლებსა და საზაფხულო სკოლებში.

პროგრამის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრი შეიძენს კომპლექსურ ცოდნას ძველ ბერძნულსა და რომაულ კულტურაზე (ლიტერატურა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნება, მითოლოგია, ფილოსოფია), დაეუფლება კლასიკურ - ძველ ბერძნულ და ლათინურ - ენებს, შეეძლება ორიგინალში წაიკითხოს ჰომეროსის, ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს, ვერგილიუსის, ჰორაციუსის, ოვიდიუსის და სხვათა ნაწარმოებები, შეიძნს ცოდნას ანტიკურ ეპოქაში ბერძნულ-ქართული ურთიერთობების ძირითად ეტაპებზე. შეეძლება ძველ ბერძნული და რომაული ლიტერატურისა და კულტურის აქტუალურ საკითხთა კვლევა როგორც ანტიკურობასთან და თანამედროვეობასთან, ისე ქართულ სამყაროსთან მიმართებითაც.

ცოდნა და გაცნობიერება:

- ძველი ბერძნული და ლათინური ენების ფართო და ღრმა ცოდნა.
- ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურის ცოდნა და გააზრება;
- ანტიკური საბერძნეთის, რომისა და შუა საუკუნეების საზოგადოებების, პოლიტიკური სისტემებისა და მათი ისტორიის ცოდნა;
- საბერძნეთისა და რომის კულტურის ისტორიის ცოდნა.
- ძველი ბერძნული და ქართული მიმართებების გაცნობიერება ანტიკურის სამყაროს ისტორიისა და კულტურის კონტექსტში.
- ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის, როგორც საბაზისო ერთეულის გააზრება თანამედროვე დასავლეთევროპული კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები:

- ფილოლოგიურ, ფილოსოფიურ და ისტორიულ წყაროებთან მუშაობის, მათი წაკითხვისა და ტექსტუალური ანალიზის უნარი მინიმალური ზედამხედველობის პირობებში;
- ბიბლიოთეკებში საჭირო ინფორმაციის ძიების უნარი;
- ბერძნულიდან და ლათინურიდან ქართულად და პირიქით ლექსიკონის დახმარებით თარგმნის უნარი;
- კურსდამთავრებულს ექნება პრობლემის დასმის, კრიტიკული აზრის შეფასების, არგუმენტირებისა და ინტერპრეტაციის, ინფორმაციის შეგროვების, გააზრების, გაანალიზებისა და წარმოჩენის, ვრცელი ინფორმაციიდან ძირითადის ამოღებისა და იდენტიფიცირების უნარი.

ზოგადი / ტრანსფერული უნარები:

- **კოგნიტიური უნარები:** ანალიტიკური აზროვნება, კრიტიკული მსჯელობის უნარი ფაქტებითა და არგუმენტებით. ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის, რეცენზიის წერის უნარი.
- **ტექნოლოგიური უნარები:**
- ინტერნეტ–რესურსებისა და აუდიო–ვიზუალური საშუალებების გამოყენება, power-point–ში პრეზენტაციის მომზადება, მონაცემთა ბაზებისა და ვებ–გვერდების მოძიება და დამუშავება.
- **ლინგვისტური უნარები:**
- ზეპირი და წერითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე. უნარები თანამედროვე უცხო ენებში.
- **სისტემური უნარები:** დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. მასალის ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენის უნარი.

დასაქმების სფეროები:

საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო, სარეფერენტო, მეთოდიკური, სათარჯიმნო და მხატვრულ-კრიტიკული საქმიანობისათვის სტუდენტი დასაქმდება:

- ენობრივ კურსებზე,
- გამომცემლობებში,
- მთარგმენლობით ცენტრებში,
- სხვადასხვა ფონდში,
- მასმედიაში,
- ბერძნულ-ქართულ კომპანიებში,
- საბერძნეთის, კვიპროსის და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში,
- არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სექტორში,

- სასულიერო საგანმანათლებლო ცენტრებში და სხვ.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ბაკალავრიატის კურსის დასრულების შემდეგ წარჩინებული ახალგაზრდები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობებზე;

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: ძირითადი სპეციალობის არჩევა სასურველია მეორე სემესტრიდან.

პროგრამის მოცულობა: რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3) საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი; 4) თავისუფალი საგნები – 10 კრედიტი.

შეფასების ზოგადი წესი:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: მუშაობს დიდი სპეციალიზებული ბიბლიოთეკა - სიმონ ყაუხჩიშვილის სახელობის კაბინეტი, საინფორმაციო-კომპიუტერული ცენტრი ინტერნეტით.

დამატებითი (minor) პროგრამა

დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: კლასიკური ფილოლოგია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი რისმაგ გორდეზიანი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს.

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს კლასიკური ფილოლოგიის დარგში, მისცეს მას კლასიკური ენების – ლათინურისა და ძველი ბერძნულის ცოდნა, შეასწავლოს ანტიკური ქვეყნების ისტორია, კულტურა და ლიტერატურა.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:

- ძველი ბერძნული და ლათინური ენების ფართო და ღრმა ცოდნა.
- ამ ენებზე შექმნილი ლიტერატურის ცოდნა და გააზრება;
- ანტიკური საბერძნეთის, რომისა და შუა საუკუნეების საზოგადოებების, პოლიტიკური სისტემებისა და მათი ისტორიის ცოდნა;
- საბერძნეთისა და რომის კულტურის ისტორიის ცოდნა.
- ანტიკური კულტურული მემკვიდრეობის, როგორც საბაზისო ერთეულის გააზრება თანამედროვე დასავლეთევროპული კულტურის ფორმირებისა და განვითარების პროცესში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება / პრაქტიკული უნარები:

- ბიბლიოთეკებში საჭირო ინფორმაციის ძიების უნარი;
- ბერძნულიდან და ლათინურიდან ქართულად თარგმნის უნარი;

- კურსდამთავრებულს ექნება პრობლემის დასმის, კრიტიკული აზრის შეფასების, არგუმენტირებისა და ინტერპრეტაციის, ინფორმაციის შეგროვების, გააზრების, გაანალიზებისა და წარმოჩენის, ვრცელი ინფორმაციიდან ძირითადის ამოღებისა და იდენტიფიცირების უნარი.

ზოგადი / ტრანსფერული უნარები:

- ანალიტიკური აზროვნება, კრიტიკული მსჯელობის უნარი ფაქტებითა და არგუმენტებით. ანალიზისა და სინთეზის, დისკუსიაში მონაწილეობის, რეცენზიის წერის უნარი.
- ზეპირი და წერითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე. უნარები თანამედროვე უცხო ენებში.
- დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. მასალის ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენის უნარი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები: დასაქმებას განსაზღვრავს კურსდამთავრებულის ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა ხელს შეუწყობს ანალიზის, შეფასების ექსპერტად მუშაობას.

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: წინაპირობის გარეშე

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს მესამე სემესტრიდან. სემესტრების მიხედვით კრედიტების აღება სტუდენტზეა დამოკიდებული, რა თქმა უნდა, გამოცხადებული საგნების გათვალისწინებით.